ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2017 წლის 16 ივნისი

ქ. ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის №34 დადგენილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 01/01/2016, 010250000.35.139.016205).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ფერაძე**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		**საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები**	**13**	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	**2 650.0**
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	**2 000.0**
		იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	**1 680.0**
		საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	**1 680.0**

		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	**1 680.0**
		გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	**1 680.0**
		კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	1	**1 680.0**
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6	**1 620.0**
2		**საკრებულოს აპარატი**	**13**	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **აპარატის უფროსი**	1	**1 550.0**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	**870.0**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	**870.0**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	**820.0**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	**870.0**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	**820.0**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	**780.0**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	**820.0**
	IV რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2	**820.0**
	IV რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	**780.0**
3		**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები**	**3**	
		მუდმივმოქმედი კომისიის დამხმარე სპეციალისტი, ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებში	2	700.0
		მძღოლი	1	850